განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი:
15/04/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი:
18 ივნისი, 2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფსიქოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
კვალიფიკაციის დონე[2]	მე-8
კვალიფიკაციის დასახელება[3]	ფსიქოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს კოდი	0313
დეტალური სფეროს დასახელება და ოთხნიშნა კოდი (ISCED – F – 2013)	0313 Psychology /ფსიქოლოგია
სწავლების ენა	ქართული
სასწავლო კომპონენტის ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი - აკრედიტაცებული/პირობით აკრედიტებული შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული; აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილებით;
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.09.2011
აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2022

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ბურდული - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

[1] შინაარსობრივად შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სწავლის სფეროს

[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[3] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის შედეგად ფორმირებული კვალიფიკაციის დასახელება

სარჩევი

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა 4

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 4

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

1.1. პროგრამის მიზნები 6

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 8

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 8

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 9

2.3. სასწავლო კურსი 10

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 11

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები 12

2.6. სტუდენტების შეფასება 12

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 13

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება 14

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 15

4.1. ადამიანური რესურსი 15

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება 16

4.3. მატერიალური რესურსი 16

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა 17

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 18

5.1. შიდა ხარისხის შეფასება 18

5.2. გარე ხარისხის შეფასება 18

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 18

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა 19

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის გზით დისტანციურ ფორმატში ცენტრის მიერ გაზიარებული მასალების საფუძველზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლიდან ხორციელდებოდა სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პორგრამა, რომელიც დაიშალა და გაიყო სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, რათა შესაბამისობაში მოსულიყო სწავლის სფეროების კლასიფიკატორითან და ეროვნული კვალიფიკაციებსის ჩარჩოსთან.

ამჟამად მასში შემავალი მიმართულებები წარმოდგენილია ცალკეული პროგრამების სახით. ფსიქოლოგიის განახლებული სადოქტორო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები დაკონკრეტდა, მათში მეტად აისახა ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებში განსაზღვრული, ფსიქოლოგიის სფეროსთან და სადოქტორო საფეხურზე სწავლებასთან დაკავშირებული სპეციფიკა, პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა სწავლის სფეროს შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს.

წარმოდგენილი ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნასა და განვითარებაში დოქტორანტების ჩართვას. წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მრავალწლიანი ტრადიციებისა და სწავლება-კვლევის თანამედროვე მოდელებისა და მეთოდების ოპტიმალურ კომბინაციას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს თანამედროვე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განვითარებაში. პროგრამა, ძირითადად, დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე ხორციელდება, ხოლო კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით მომუშავე დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია უსდ-ის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი. პროგრამის ფარგლებში კვლევა კლინიკური სოციალური, განათლებისა და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულებით მიმდინარეობს და საკვლევის თემების ფართო სპექტრს მოიცავს.

ამრიგად, წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციურ მკვლევართა ახალი თაობის მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი თეორიული ცოდნა და კვლევის დამოუკიდებლად წარმოებისთვის და, შესაბამისად, დასახელებულიდან ერთ-ერთი მიმართულებით ახალი ცოდნის გენერირებისთვის, საჭირო ყველა უნარ-ჩვევა.

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. მათ შორის, სავალდებულო (39 კრედიტი), სავალდებულო-არჩევით (3 კრედიტი) და არჩევით (18 კრედიტი) კომპონენტებს, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის კვლევის არეალი შინაარსობრივად არ შეცვლილა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა და მასში შემავალი თითოეული მიმართულება დამოუკიდებელ პროგრამად ჩამოყალიბდა, ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაში დაკონკრეტდა გარკვეული საკითხები, მათ შორის, განისაზღვრა კვლევის სფეროები, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია.

გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტები ასრულებენ ისეთ მოთხოვნებს, როგორებიცაა სადოქტორო სემინარი და სადოქტორო კოლოქვიუმი, ასისტირება, საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში მინიმუმ ერთი პუბლიკაცია და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვა. პროგრამაზე სწავლას დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომით ასრულებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფსოქოლოგიის სადოქტორო პროგრამა შეფასდა I, II და IV სტანდარტების მიხედვით და შესაბამისობაშია თითოეული მათგანის კრიტერიუმებთან.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მკვლევრების ახალი თაობა, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო ცოდნით, კომპეტენციებით, მათ შორის ანალიტიკური უნარებით და შეძლებენ დამოუკიდებლად განხორციელებული ორიგინალური კვლევის საფუძველზე ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) შექმნან ახალი ცოდნა და ამით წვლილი შეიტანონ ცოდნის არსებული საზღვრების გაფართოებასა და, სადაც რელევანტურია, პრაქტიკის განვითარებაში; კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებს/მიგნებებს გაუზიარებენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას როგორც სამუშაო შეხვედრების, პრეზენტაციების, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაცის გზით; მომზადებულები იქნებიან წარმატებული კარიერისთვის, როგორც აკადემიურ, ისე საჯარო, არასამთავრობო ან კერძო სექტორებში. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ქმნის პლატფორმას ადგილობრივ და საერთაშორისო მკვლევრებთან დიალოგში დოქტორანტების ჩართვისა და მათი დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის.

დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა რომ, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს კიდეც მათ ურთიერთშესაბამისობას; ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს; ასევე, აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიის მოცემული სადოქტორო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რაც დასტურდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციით. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზნების სრულად შეესაბამება აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი და თვითშეფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილ პროგრამაში სწავლის შედეგები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: (1) ამჟღავნებს ცოდნას ფსიქოლოგიის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია), რომელიც მოიცავს შესაბამის თეორიებს/თეორიულ ჩარჩოს (სადაც რელევანტურია, პრაქტიკას) უახლეს დებატებს; (2) ცნობს კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიასა და მონაცემების ანალიზის ტექნიკებს; (3) შეუძლია ფსიქოლოგიის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულების (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია,) ფარგლებში, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება და, სადაც რელევანტურია, მისი გამოყენება არსებული პრაქტიკის განვითარებისთვის; (4) იცავს ეთიკის პრინციპებს კვლევისას და, სადაც რელევანტურია, პრაქტიკაში. მათ შორის, მოქმედებს განსხვავებულობისა და ინკლუზიურობის ღირებულებებზე დაყრდნობით კვლევის დაგეგვმისა და განხორციელებისას; (5) ახალი ცოდნის გაზიარების მიზნით, შეუძლია თემატურ დისკუსიებში მონაწილეობა, კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციაში ასახვა; (6) შეუძლია ცოდნის ტრანსფერი საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების მქონე კანდიდატების მიღებას და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიის მიმართულებით. თუ აპლიკანტს არ აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში, მან დამატებით უნდა ჩააბაროს წერითი გამოცდა ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, მიმდინარეობების, მიმართულებების, თეორიების ცოდნასა და ღრმა გააზრებაზე;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი), ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა კვლევითი განაცხადის საკითხებზე.

პროგრამაზე მიღების პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის წინაპირობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი.

ზემოთქმულის მიუხედავად, აღსანიშნავია ერთი გარემოება. უსდ-ის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში ვკითხულობთ, რომ ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტების ჩართვაზე ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე ცოდნის შექმნასა და განვითარებაში; და ასევე, ის, რომ პროგრამის კვლევის არეალს წარმოადგენს ისეთი მიმართულებები, როგორიც არის სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია. ვფიქრობთ, რომ თუ აპლიკანტს არ აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში, მიუხედავად იმისა, რომ მას უწევს დამატებითი გამოცდის ჩაბარება, მისთვის გარკვეულ გამოწვევას უნდა წარმოადგენდეს „ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე ცოდნის შექმნა და განვითარება“, განსაკუთრებით, კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში. აღნიშნულმა შექმნა ქვემოთ წარმოდგენილი რჩევის საფუძველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია, რომ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამის წინაპირობად განისაზღვროს მხოლოდ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ილიას უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავების დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების მიხედვით. სრულად შეესაბამება უსდ-ის მისია და ასევე, უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია სწავლების სადოქტორო საფეხურთან. ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას. ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს, მათ შორის, 39 კრედიტი ეთმობა სავალდებულო კომპონენტებს (სადოქტორო სემინარი 1 და 2, კვლევის ეთიკა, კვლევის მოდელის შემუშავება, კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში, ასისტირება, სადოქტორო კოლოქვიუმები (კრედიტის გარეშე) და სადისერტაციო ნაშრომი (კრედიტის გარეშე)); 3 კრედიტი სავალდებულო არჩევით კოპინენტზე მოდის (ექსპერიმენტული, კორელაციური და თვისებრივი კვლევა), ხოლო 18 კრედიტი არჩევით კომპონენტით სრულდება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განახლებულ სტრუქტურაში 60 კრედიტის დაგროვება მხოლოდ სასწავლო კომპონენტების ფარგლებში, დოქტორანტის კვლევის პროგრესზე უკეთ დაკვირვებისა და მისთვის თანმიმდევრული უკუკავშირის მიღების საშუალებას იძლევა. ასევე, პროგრამის სტრუქტურაში ახალია კოლოკვიუმების სერია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ შინაარსობრივად არ შეცვლილა პროგრამის ფარგლებში მიმდინარე კვლევის არეალი, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა და მასში შემავალი თითოეული მიმართულება დამოუკიდებელ პროგრამად ჩამოყალიბდა, წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში დაკონკრეტდა კვლევის ზოგიერთი საკითხი და, ამასთან, განისაზღვრა კვლევის ისეთი ძირითადი სფეროები, როგორებიცაა სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია.

თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • სწავლის შედეგების რუკა; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის ბლოკი და თითოეულ ბლოკში შემავალი ცალკეული კურსი. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Clarivate Analytics, SAGE, Cambridge Journals, Directory Of Open Access Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიემართება ფსიქოლოგიის დარგში ახალი ცოდნის შექმნას და დოქტორანტებისთვის ყველა იმ პირობის შექმნას მოიაზრებს, რაც საჭიროა ორიგინალური სამეცნიერო კვლევის აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით განხორციელებისთვის. ამ მიზანს ემსახურება ისეთი აქტივობები, როგორებიცაა (ა) ინდივიდუალური მუშაობა ხელმძღვანელთან; (ბ) კოლოკვიუმების სერია, რომლის ფარგლებშიც, დოქტორანტები თავიანთი კვლევის შედეგებს პერიოდულად წარმოადგენენ ფართო აუდიტორიის წინაშე (სხვა დოქტორანტები, პროფესორები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები) და იღებენ უკუკავშირს, რაც უზრუნველყოფს ნაკლოვანებების დროულ გამოვლინებასა და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას. ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის კონცეფცია ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ პროფესიული ეთიკის ნორმებს, კერძოდ, გამოყენებულია ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი, საქართველოს კანონი პირადი მონაცემების დაცვის შესახებ და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბაზრის კვლევის ასოციაციის პროფესიული ეთიკა და ქცევის კოდექსი (რომელსაც 2020 წლის 9 ოქტომბერს მოეწერა ხელი). შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში განხორციელბული ნებისმიერი კვლევისას გათვალისწინებულია ეთიკის დაცვის შესაბამისი მექანიზმების გამოყენება. კვლევის ეთიკის დაცვის მიზნით, მონაცემების შეგროვების დაწყებამდე, დოქტორანტი ვალდებულია, უნივერსიტეტის ეთიკის კომისიისათვის განსახილველად მოამზადოს განაცხადი, რომელშიც აღწერს კვლევის არსს, პროცედურასა და კვლევის ინსტრუმენტებს. მონაცემების შეგროვებას დოქტორანტი მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ იწყებს. შესაძლებელია, ამ პროცესში მას მოუწიოს მასალების დამატება, ან ცვლილებების შეტანა პროცედურაში თუ ინსტრუმენტებში. უარის მიღების შემთხვევაში კი, ვალდებულია, არსებითად შეცვალოს პროცედურა და/ან ინსტრუმენტები. სადისერტაციო ნაშრომი დაცვამდე იტვირთება პროგრამაში „Elearning" და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა „Turnitin"-ის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტს მოეთხოვება პუბლიკაციის გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული სილაბუსები/კონცეფციები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარების და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული სწავლების ელემენტები, დემონსტრირება, დისკუსია/დებატები, ანალიზი/სინთეზი, სუპერვიზია და რეფლექცია. სწავლების მეთოდები რელევანტურია და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს 5 დადებით შეფასება (ფრიადი (A) – შეფასების 91-100 ქულა; ძალიან კარგი (B) – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; კარგი (C) – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დამაკმაყოფილებელი

(D) – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; საკმარისი (E) – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა) და 2 უარყოფით შეფასებას (ვერ ჩაბარა (FX) – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები). აღსანიშნავია, რომ სასწავლო კომპონენტში გამოყენებული შეფასების სისტემა სრულ თანხვედრაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან (შემდგომში - N3 ბრძანება), ხოლო სამაგისტრო ნაშრომის (პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის) შეფასების სისტემა საჭიროებს კორექტირებას უარყოფითი შეფასებების ნაწილში, კერძოდ: 1) (FX) ვერ ჩაბარა – მითითებულია: „სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება“ (N3 ბრძანების თანახმად - ამ შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში); 2) (F) ჩაიჭრა – მითითებულია: „სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი“ (N3 ბრძანების თანახმად - ამ შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები და კონცეფციები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამას აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამაში ჩართულნი არიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. პროგრამას ახორციელებს სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ შესაბამის სამეცნიერო ხარისხი და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს აქვს საერთაშორისო მუშაობის გამოცდილება, რაც პოზიტიურად აისახება სწავლის შედეგებზე.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 37 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 20 (9 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი. 4 ასისტენტ-პროფესორი) და ყველა აფილირებულია უსდ-სთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის რაოდენობაა 16. აღსანიშნავია, რომ პროგრამას აფილირებული აკადემიური პერსონალი ახორციელებს და არ ჰყავს მოწვეული პერსონალი.

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს პროგრამის შემუშავებისათვის აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.

წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. პირადი საქმეები მათ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაზე მეტყველებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2.	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და დოკუმენტაცის (პერსონალის პირადი საქმეების) მიხედვით, განხორციელდა განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გადამზადება და სწავლის შედეგების ფორმულირების საკითხებთან დაკავშირებით ჩაუტარდათ ტრენინგები და კონსულტაციები (როგორც უნივერსიტეტის შიდა რესურსით, ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული შეხვედრების ფარგლებში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3.	მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია, როგორც პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სივრცით, ასევე მატერიალური რესურსებით, იქნება ეს წიგნადი ფონდი თუ ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ფართო არჩევანი. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე, სამეცნიერო ბაზების განყოფილებაში ჩაშენებულია ერთიანი საძიებო სისტემა, რომელიც მომხმარებელს გარკვეული სტატიის ან საკითხის ყველა ბაზაში ერთდროულად მოძებნის შესაძლებლობას აძლევს.

გარდა აღწერილი რესურსებისა, სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია სამუშაო სივრცე და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (დიმიტრი უზნაძის კოგნიტური და ექსპერიმენტული ლაბორატორია), რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის კვლევითი პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი პრაქტიკული აქტივობებისათვის.

აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია პირადი სივრცით, ოთახით, რაც მათ მუშაობის და სტუდენტებთან ინდივიდუალური ფორმატით ურთიერთობის დამატებით შესაძლებლობას აძლევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა
- სილაბუსები და კონცეფციები

- კომპეტენციების რუკა
- სამიზნე ნიშნულები
- სწავლის შედეგებისა და მიზნების რუკა
- პროგრამზე მიღების დოკუმენტაცია
- პერსონალის დამადასტურებელი კვალიფიკაციის დოკუმენტაცია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა არ მოიაზრებდა პროგრამის ბიუჯეტის მოდიფიცირებას, შესაბამისად, არც ინფორმაციაა წარმოდგენილი და არც შეფასების საჭიროებაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 20

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა ბურდული